დამტკიცებულია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერის 2023 წლის ------- ოქტომბრის

N---------- ბრძანებით

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო

ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშული დებულება აწესრიგებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს (შემდგომში - საბჭო) შექმნისა და საქმიანობის უფლებამოსილებებს, საბჭოს წევრთა მოვალეობებს, კომპეტენციებს და სხვა რეგულაციებს.

2. საბჭო იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ახალგაზრდების მონაწილეობის, ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევების შემუშავებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

მუხლი 2. ახალგაზრდული საბჭოს მიზანი

ახალგაზრდული საბჭოს მიზანია:

ა) ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა.

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობა, ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმავასა და განხორციელებაში, ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების მაქისიმალურად გათვალისწინების თვალსაზრისით.

გ) ახალგაზრდების ინფორმირება, ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე მოვლენების, პროგრამების/ქვეპროგრამების და სიახლეების შესახებ.

მუხლი 3. საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) საჯაროობა;

ბ) კოლეგიურობა;

გ) კანონიერება;

დ) ახალგაზრდების აზრის გათვალისწინება;

ე) ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა;

ვ) ანგარიშვალდებულება;

ზ) გამჭვირვალობა;

თ) თანასწორობა;

ი) მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიღება.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა

1. საბჭო (მმართველი ორგანო/სრულუფლებიანი წევრი, არანაკლებ 7 და არაუმეტეს 15 პირი):

ა) თავმჯდომარე (1);

ბ) თავმჯდომარის მოადგილე (2);

გ) საბჭოს მდივანი (1);

დ) კოორდინატორი (1);

ე) წევრები :

2. საბჭოს ასოცირებული წევრები (რაოდენობა არ არის შეზღუდული);

3. საბჭოს მოხალისეთა კლუბის წევრები (რაოდენობა არ არის შეზღუდული);

4. საბჭოს საპატიო წევრები (რაოდენობა არ არის შეზღუდული).

მუხლი 5. საბჭოს წევრთა შერჩევის წესი

1. საბჭოს წევრი:

ა) საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ფიზიკური პირი (არაპარტიული/უპარტიო);

ბ) საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით (მერის უფლებამოსილების ფარგლებში);

გ) საბჭოს წევრად, ერთი და იგივე პირი, შეიძლება არჩეულ იქნას, არაუმეტეს მერის უფლებამოსილების ორი ვადისა;

დ) გათვალისწინებულ იქნეს, რომ პირველი მოწვევის საბჭოს წევრთა შერჩევა (15 წევრის შემადგენლობით) განხორციელდა კონკურსის საფუძველზე (ბრძანება: №14.142208430; 25/03/2022წ);

ე) პირველი მოწვევის საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, მეორე (და ყოველი შემდეგი მოწვევის) საბჭოს წევრების რაოდენობრივი და პერსონალური შერჩევა, ასევე, დამატება/ჩანაცვლება, ხდება, მათ შორის საბჭოს ასოცირებული წევრებიდან (ყველაზე აქტიური, გამორჩეული) და მტკიცდება მერის ბრძანებით.

2. საბჭოს ასოცირებული წევრი:

ა) საბჭოს ასოცირებული წევრი შეიძლება იყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ფიზიკური პირი (არაპარტიული/უპარტიო);

ბ) საბჭოს ასოცირებულ წევრად მიღება ხდება მერის გადაწყვეტილებით/ბრძანებით. მათ შორის საბჭოს მოხალისეთა კლუბის წევრებიდან (ვინც გამოირჩევა აქტიურობით და იმსახურებს აღიარებას);

გ) საბჭოს ასოცირებულმა წევრმა ან რეკომენდატორმა უნდა წარადგინოს:

გ. ა) სარეკომენდაციო წერილი - საქმიანობის ან სასწავლო დაწესებულებიდან (არსებობის შემთხვევაში) ან/და ნებისმიერი ფიზიკური პირ(ებ)ის;

გ. ბ) ავტობიოგრაფია / CV;

გ. გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ასლი;

გ. დ) ცნობა რეგისტრაციის (საცხოვრებელი ადგილის) შესახებ ან დასურათებული მტკიცება - ე.წ. „სკრინშოტი“, სამოქალაქო რეესტრის ვებგვერდიდან (თარიღის წარმოჩენით), მისი რეგისტრაციის - საცხოვრებელი ადგილის/მისამართის მითითებით.

3. საბჭოს მოხალისეთა კლუბის წევრი:

ა) საბჭოს მოხალისეთა კლუბის წევრი შეიძლება იყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ფიზიკური პირი (არაპარტიული/უპარტიო);

ბ) საბჭოს მოხალისეთა კლუბის წევრების შერჩევა ხორციელდება რეკომენდაციის საფუძველზე, საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით (ფორმდება ოქმით), გასვლა - ასევე, საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით (პირადი განცხადების საფუძველზე ან საბჭოს ინიცირებით);

გ) საბჭოს მოხალისეთა კლუბის წევრის მიღების თაობაზე, კანდიდატურის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია მათ შორის საბჭოს წევრს, რომელმაც საბჭოს თავმჯდომარის სახელზე უნდა წარადგინოს განცხადება და დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

გ.ა) სარეკომენდაციო წერილი - საქმიანობის ან სასწავლო დაწესებულებიდან (არსებობს შემთხვევაში) ან/და ნებისმიერი ფიზიკური პირის;

გ. ბ) ავტობიოგრაფია / CV;

გ. გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ასლი;

გ. დ) ცნობა რეგისტრაციის (საცხოვრებელი ადგილის) შესახებ ან დასურათებული მტკიცება - ე.წ. „სკრინშოტი“, სამოქალაქო რეესტრის ვებგვერდიდან (თარიღის წარმოჩენით), მისი რეგისტრაციის - საცხოვრებელი ადგილის/მისამართის მითითებით.

4. საბჭოს საპატიო წევრი:

ა) საბჭოს საპატიო წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ასაკის საქართველოს ან/და უცხოეთის ქვეყნის მოქალაქე (არაპარტიული/უპარტიო).

ბ) საბჭოს საპატიო წევრის შერჩევა/მიღება ხდება რეკომენდაციის საფუძველზე, საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით (ფორმდება ოქმით), ხოლო გასვლა - ასევე, საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით (პირადი განცხადების საფუძველზე ან საბჭოს ინიცირებით).

გ) საბჭოს საპატიო წევრს უნდა გააჩნდეს:

გ.ა) განსაკუთრებული დამსახურება ქალაქ ბათუმის/საქართველოს წინაშე. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ერთიანობის, საზოგადოების კონსოლიდაციისა და დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი პირადი თვალსაჩინო, განსაკუთრებული ან/და გამორჩეული ღვაწლით (საზოგადოებრივი, სამსახურეობრივი, პროფესიონალური, სამეცნიერო ან/და სხვა ნებისმიერი მიმართულებით);

გ.ბ) მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქალაქ ბათუმის/საქართველოს, უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებაში, ქალაქ ბათუმთან მეგობრული, საქმიანი, კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული და სხვა მნიშვნელოვანი სახის საერთაშორისო კავშირების განვითარებაში;

გ.გ) გამორჩეულია პიროვნული თვისებებით, მაღალი პროფესიონალიზმით და თავისი ცოდნა - გამოცდილების გაზიარებით, აქტიურობით, ახალგაზრდებისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული მზრუნველობით, ხელშეწყობით, (მათ შორის მეცენატობა, ქველმოქმედება და ა.შ.) ერთგული, ღირსეული და უანგარო მხარდაჭერით, იმსახურებს აღიარებას, მადლიერებას/დაფასებას.

დ) საბჭოს საპატიო წევრის მიღების თაობაზე, კანდიდატურის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია საბჭოს წევრს, რომელმაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.N25), მერის სახელზე უნდა წარადგინოს განცხადება (საპატიო წევრის კანდიდატურასთან დაკავშირებით, რეკომენდაციის თაობაზე) და დოკუმენტაცია (კანდიდატის შესახებ):

დ.ა) სარეკომენდაციო წერილი - საქმიანობის ან სასწავლო დაწესებულებიდან (არსებობს შემთხვევაში) ან/და ნებისმიერი ფიზიკური პირის);

დ.ბ) ავტობიოგრაფია / CV;

დ.გ) პასპორტი ან/და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ასლი.

მუხლი 6. საბჭოს უფლებამოსილება . წევრის უფლება - მოვალეობები და ქცევის სტანდარტი

1. საბჭოს, ასევე, საბჭოს ასოცირებული და მოხალისე წევრ(ებ)ი ვალდებულია დაიცვას ქცევის სტანდარტი:

ა) იყოს პუნქტუალური;

ბ) პატივისცემით მოეპყრას კოლეგებს;

გ) დროულად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები;

დ) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებსა და მუშაობაში;

ე) თვალყური ადევნოს მიმდინარე მოვლენებს და იყოს პროაქტიური;

ვ) გასცემდეს და იღებდეს უკუკავშირს კონსტრუქციულად;

ზ) არ მიაყენოს შეურაცხყოფა კოლეგებსა და სხვა პირებს;

თ) მზად იყოს დახმარების გასაწევად და მისაღებად;

ი) იკისროს პასუხისმგებლობა წინამდებარე დებულების შესრულებაზე.

2. საბჭოს წევრის მოვალეობები:

ა) ახალგაზრდული საბჭოს წევრი მოქმედებს წინამდებარე დებულების შესაბამისად და მოხალისეობრივ საწყისებზე;

ბ) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და მერისთვის წარდგენა;

გ) მონაწილეობა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში;

დ) მონაწილეობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტირების პროცესში, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების დოკუმენტის მომზადება და მერისთვის წარდგენა, ბიუჯეტის პროექტის საკრებულოსთვის წარდგენამდე;

ე) ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა სხვადასხვა მიმართულებით;

ვ)ახალგაზრდების ინფორმირება ახალგაზრდული პოლიტიკის, ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე მოვლენების, პროგრამების/ქვეპროგრამების, არსებული შესაძლებლობების, აქტივობების და სიახლეების შესახებ;

ზ) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში და არ გააცდინოს არასაპატიო მიზეზით;

თ) არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის თავისი უფლებამოსილება და/ან მასთან დაკავშირებული რაიმე შესაძლებლობა.

3. საბჭოს წევრის უფლებები:

ა) საბჭოს სხდომაზე დასვას საკითხი განსახილველად, მოახდინოს საკითხის ინიცირება, შეიტანოს წინადადებები საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაწილეობა მიიღოს განხილვაში/დებატებში და კენჭისყრაში;

ბ) შეისწავლოს ახალგაზრდების აზრი, განახორციელოს კვლევები, ინტერაქტიული შეხვედრები და ახალგაზრდების გამოკითხვა კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების მეშვეობით და კვლევის შედეგები წარადგინოს საბჭოს სხდომაზე განსახილველად;

გ) წერილობით აცნობოს საბჭოს თავმჯდომარეს თავისი პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც მისი აზრი პრინციპულად განსხვავდება საბჭოს სხდომაზე მიღებული წინადადების, დასკვნის ან რეკომენდაციისაგან;

დ) საბჭოს წევრს შეიძლება მიეცეს აცილება საკითხების განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდა მისი პირდაპირი ან ირიბი, კერძო ან უწყებრივი დაინტერესება საბჭოში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;

ე) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს მერიის სტრუქტურული ერთეულების, საკრებულოს კომისიისა და სამუშაო ჯგუფის სხდომებსა და შეხვედრებში;

ვ) შევიდეს და გადაადგილდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთათვის დაწესებული რეჟიმის (სპეციალურის გარდა) შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) შეხვდეს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის განსახორციელებლად, გარდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისა. ასევე, უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში;

თ) დაუშვებელია საბჭოს წევრების გამოყენება ისეთი მიზნებისთვის, რომელიც არ შეესაბამება ახალგაზრდების ჯანსაღი და ობიექტური მონაწილეობის ხელშეწყობას, კერძოდ:

თ. ა) საბჭო / წევრი ეწეოდეს პოლიტიკურ ან/და საარჩევნო აგიტაციას, იყენებდეს ისეთ ატრიბუტიკასა თუ სიმბოლიკას, რომელიც რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტთან ასოცირდება ან/და მონაწილეობდეს წინასაარჩევნო კამპანიაში საბჭოს წევრის სტატუსითა და საბჭოს სახელით;

თ. ბ) საბჭოს წევრი იღებდეს ანაზღაურებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან, მისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

4. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის/შეჩერების საფუძვლები

ა) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის/შეჩერების საფუძვლებია:

ა.ა) მერის უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;

ა.ბ) წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლა;

ა.გ) პირადი განცხადება;

ა.დ) თუ იგი სისტემატიურად აცდენს სხდომას არასაპატიო მიზეზით;

ა.ე) გარდაცვალება;

ა.ვ) სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულ ქმედუნარიანად ან უგზო-უკვლო დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ა.ზ) მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ა.თ) საბჭოს მუშაობაში ჩართვისაგან თავის არიდებისა და საბჭოს სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

ბ) საბჭოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება მერის ბრძანებით.

მუხლი 7. საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი, კოორდინატორი, საბჭოს ასოცირებული, მოხალისე და საპატიო წევრები

1. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა მერის გადაწყვეტილებით/ბრძანებით და მერის უფლებამოსილების ვადით;

ბ) უზრუნველყოფს საბჭოს მიზნების, ამოცანების და უფლება-ვალდებულებების შესრულებას. ახორციელებს საბჭოს წარმომადგენლობით ფუნქციებს;

გ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს საბჭოს საქმიანობას და დავალებებს აძლევს საბჭოს ცალკეულ წევრებს;

დ) ამტკიცებს საბჭოს სხდომის დღის წესრიგს, იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს;

ე)ადგენს და აქვეყნებს საბჭოს მუშაობის ანგარიშს;

ვ) საბჭოს წევრებთან შეთანხმებით, ადგენს საბჭოს წევრების ახალგაზრდებთან შეხვედრების განრიგს;

დ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

ვ) დაუშვებელია საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა ან გაწვევა/შეცვლა. ამასთან, შესაძლებელია უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, კერძოდ:

ვ. ა) საბჭოს თავმჯდომარეობაზე უარის თქმა პირადი განცხადებით;

ვ. ბ) გარკვეული პერიოდის განმავლობაში საბჭოს მუშაობაში ჩართვისაგან თავის არიდებისა და საბჭოს სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

2. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

ა) საბჭოს თავნჯდომარის მოადგილე აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან, საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით და მტკიცდება მერის ბრძანებით;

ბ) თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის დავალებებს, ასევე, ეხმარება მას, მისი უფლებამოსილების და მოვალეობის განხორციელებაში;

გ) ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას, საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში;

დ) დაუშვებელია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა ან გაწვევა/შეცვლა. ამასთან, შესაძლებელია უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, კერძოდ:

დ. ა) საბჭოს თავმჯდომარი მოადგილის პოზიციაზე უარის თქმა პირადი განცხადებით;

დ. ბ) გარკვეული პერიოდის განმავლობაში საბჭოს მუშაობაში ჩართვისაგან თავის არიდებისა და საბჭოს სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

3. საბჭოს მდივანი:

ა) საბჭოს მდივანი აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან, საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით და მტკიცდება საბჭოს გადაწყვეტილებით;

ბ) საბჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი;

გ) საბჭოს მდივანი ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომის მოწვევას, თარიღის, დროისა და ლოკაციის დადგენას;

დ) საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ არეგისტრირებს განცხადებას/ინიციატივას;

ე) უწევს კონტროლს საბჭოს დოკუმენტაციის შეგროვებას, დამუშავებას და დაარქივებას;

ვ) საბჭოს წევრებს აცნობს სხდომის დღის წესრიგს და წარუდგენს განსახილველი საკითხების ნუსხას;

ზ) აწარმოებს საბჭოს წევრების მიერ სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების ჩაწერას, შემდგომში ოქმში შესატანად.

თ) აფორმებს საბჭოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ოქმის სახით, სხდომის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. ამასთან, აუცილებელია ოქმში დაფიქსირებული სიტყვით გამომსვლელ(ებ)ის ხელმოწერა, მის მიერ წარმოთქმული სიტყვის / ტექსტის დადასტურებასთან მიმართებაში ან/და მის მიერ გადმოგზავნილი კომენტარ(ებ)ი, რომელიც ოქმს თან ერთვის.

ი) ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარის დავალებებს და საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

კ) საბჭოს თვმჯდომარის მდივნის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

კ. ა) საბჭოს მდივანის პოზიციაზე უარის თქმა პირადი განცხადებით;

კ. ბ) გარკვეული პერიოდის განმავლობაში საბჭოს მუშაობაში ჩართვისაგან თავის არიდებისა და საბჭოს სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

4. საბჭოს კოორდინატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) პასუხისმგებელი თანამშრომელი ახალგაზრდული მიმართულებით, რომელიც თავისი მაღალი კვალიფიკაციითა და კომპეტენციით, ცოდნა - გამოცდილების გაზიარებით, ეხმარება საბჭოს ახალგაზრდა წევრებს მათი ფუნქციების მაღალორგანიზებულად განხორციელებაში, ასევე, ტექნიკური და საკოორდინაციო საკითხების მოგვარებაში.

5. საბჭოს ასოცირებული წევრი:

ა) ჩართულია საბჭოს საქმიანობაში;

ბ) მონაწილეობს საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით;

გ) სარგებლობს საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

დ) მონაწილეობს საბჭოს მიერ წარმოებულ კამპანიებსა და სხვა ღონისძიებებში;

ე) საბჭოს ასოცირებული წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი:

ე. ა) თავს არიდებს ან ვერ ახერხებს საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობას, ჩართულობას;

ე.ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

ე. გ) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ე. დ) გარდაიცვალა;

ე. ე) მერის ბრძანება.

6. საბჭოს მოხალისე წევრი:

ა) ჩართულია საბჭოს საქმიანობაში;

ბ) სარგებლობს საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

გ) მონაწილეობს საბჭოს მიერ წარმოებულ კამპანიებსა და სხვა ღონისძიებებში;

დ) საბჭოს მოხალისე წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი:

დ. ა) თავს არიდებს ან ვერ ახერხებს საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობას, ჩართულობას;

დ.ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

დ. გ) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

დ. დ) გარდაიცვალა;

დ. ე) საბჭოს ინიცირებით.

7. საბჭოს საპატიო წევრი:

ა) შესაძლებლობების შესაბამისად, ჩართულია საბჭოს საქმიანობაში;

ბ) მონაწილეობს საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით;

გ) სარგებლობს საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

დ) მონაწილეობს საბჭოს მიერ წარმოებულ კამპანიებსა და სხვა ღონისძიებებში;

ე) საპატიო წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი:

ე. ა) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

ე. ბ) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ე. გ) გარდაიცვალა;

ე. დ) საბჭოს ინიცირებით.

მუხლი 8. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ.

2. საბჭოს სხდომის ორგანიზებისა და მისი მიმდინარეობის წესი განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

3. საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე.

4. საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.

5. საბჭოზე საქმიანობის დღის წესრიგი განისაზღვრება საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

6. საბჭოს წევრს უფლება აქვს სხდომის დაწყების წინ წერილობით წარუდგინოს თავისი პოზიცია თავმჯდომარეს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გაცხადდეს სხდომაზე და გათვალისწინებული იქნას გადაწყვეტილების მიღებისას.

7. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

8. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. ამასთან, საბჭოს წევრების ხმათა თანასწორობის შემთხვევაში, გადამწყვეტია, საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

9. საბჭო უფლებამოსილია მნიშვნელოვანი საკითხ(ებ)ის განხილვასთან მიმართებაში, პროფესიული რჩევებისა და მოსაზრებებისა მიღების თვალსაზრისით, მოიწვიოს სხვადასხვა სფეროს ექსპერტები ან/და კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოს სხდომების მუშაობაში (ან/და კონკრეტული თემატიკის მიმართულებით) და გასცემენ კომპეტენტურ რეკომენდაციებს.

10. საბჭოს სხდომათა თარიღის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სხდომამდე ერთი დღით ადრე მაინც, ასევე, ეცნობება საბჭოს წევრებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით.

11. საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებას ღებულობს ღია კენჭისყრით;

12 საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

13. საბჭოს სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) თარიღი;

ბ) დამსწრე საბჭოს წევრების სია;

გ) საბჭოს წევრების სია, რომლებიც ვერ დაესწრნენ სხდომას;

დ) სხდომის დღის წესრიგი;

ე) სხდომაზე განხილული საკითხები და განხილვის პროცესში მონაწილე პირთა მოკლე აღწერები;

ვ) განსხვავებული მოსაზრება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზ) კენჭისყრის შედეგები;

თ) სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება (რეკომენდაციები).

14. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

15 .საბჭოს წევრი უფლებამოსილია, საბჭოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, მერს წარუდგინოს (წერილობით) განსხვავებული - პირადი/ალტერნატიული მოსაზრებები რეკომენდაციების სახით.

16. სხდომას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის/უფლება-მოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 9. ანგარიშვალდებულება

1. საბჭო, ანგარიშვალდებულია მერის წინაშე და რეგულარულად (6 თვის და წლიური) წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. გარდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ანგარიშვალდებულისა, უზრუნველყოფს საჯარო საინფორმაციო შეხვედრას (წლის განმავლობაში ან წლის ბოლოს) ახალგაზრდებთან, საქმიანობის / ანგარიშის გაცნობის მიზნით. ანგარიშის წარდგენის დღის, საათის, ადგილის და არსებობის შემთხვევაში, დღის წესრიგის შესახებ ცხადდება, ანგარიშის წარდგენამდე.

მუხლი 10. საბჭოსა და მერის ურთიერთობები

1. საბჭოს განსახილველად წარედგინება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ახალგაზრდული, ინფრასტრუქტურული, სოციალური და ა.შ. პროგრამები/ ქვეპროგრამები.

2. საბჭო, სხდომაზე განხილვის შემდგომ, თავის გადაწყვეტილებას (რეკომენდაციას, წინადადებას თუ მოსაზრებას) წერილობით წარუდგენს მერს.

3. მერი, საბჭოს მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციასთან (წინადადება / მოსაზრება) მიმართებაში, ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას.

4. მერისათვის, საბჭოს მიერ შეთავაზებული რეკომენდაცია, არ წარმოადგენს დაბრკოლებას შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

5. მერის მიერ, საბჭოსათვის სამუშაო მასალების (კორესპონდენციების, პროექტების) გადაცემა და მეორეს მხრივ, საბჭოდან მერისათვის შესაბამისი წინადადებების (რეკომენდაციების) გადაცემა ხორციელდება უშუალოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილებაში მოძრაობის გარეშე ან/და ოფიციალურად, სამსახურის მეშვეობით, საქმისწარმოების დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 11. საბჭოს მხარდაჭერა. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ხელს უწყობს საბჭოს სამოქალაქო ინიციატივების, პროექტების და სხვა აქტივობების რეალიზებაში.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, საბჭოს უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაო ფართით, საკანცელარიოდა სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით, ადმინისტრა-ციული, ორგანიზაციული, ტექნიკური და საგანმანათლებლო მხარდაჭერით.

მუხლი 12. საბჭოს დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა

საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მერი.